

ევროკავშირის შესახებ

ეროვნული კონვენცია საქართველოში

ახალგაზრდების ეკონომიკური
გაძლიერების პოლიტიკის
მიზანი და ამოცანები

ვახტანგ ჭარაია, ივანა ულიცნა

პროექტის პარტნიორი: სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკის ასოციაცია (SFPA)
განმახორციელებელი პარტნიორი: ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი (LMF)
დონორი ორგანიზაცია: SLOVAKAID და ფრიდრიხ ებერტის ფონდი
პროექტის ხანგრძლივობა: თებერვალი 2021 – აგვისტო 2022



ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFPA
Slovak Foreign Policy Association

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის მიზანი და ამოცანები	4
ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის პრინციპები.....	4
ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები.....	4
1. მეწარმეობა და ინოვაცია.....	5
1.1. ახალგაზრდებში მეწარმეობის შესახებ დადებითი წარმოდგენის ჩამოყალიბების მხარდაჭერა	5
1.2. ახალგაზრდებში მეწარმეობის შესახებ განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების მხარდაჭერა	5
1.3. მეწარმეებს/ინოვატორებსა და მთავრობას შორის თანამშრომლობის გამარტივება	6
1.4. გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს შორის მეწარმეობის წახალისება.....	7
1.5. ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა.....	8
1.6. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებში მეწარმეობის ხელშეწყობა	9
1.7. სტარტაპბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	10
1.8. ახალგაზრდების მეწარმეობის ფინანსური მხარდაჭერა	10
1.9. ციფრული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მიღების ხელშეწყობა.....	11
1.10. კონკრეტული, ასაკზე მორგებული, პროგრამების შექმნა	12
1.11. კერძო სექტორსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა	12
2. დასაქმების მხარდაჭერა და სამუშაო ადგილების შექმნა.....	13
2.1. ბაზრის საჭიროებებზე მორგებული განათლების მხარდაჭერა.....	13
2.2. საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამები ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფებისთვის.....	14
2.3. დასაქმების შეღავათებისა და უმუშევრობის დახმარების მხარდაჭერა ახალგაზრდებისთვის	14
2.4. ახალგაზრდა დამსაქმებლების სპეციალური ფინანსური მხარდაჭერა.....	15
2.5. ახალგაზრდების დასაქმების პროგრამა.....	16
3. აქტიური როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში	16
3.1. მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.....	16
3.2. ახალგაზრდული საბჭოების ჩამოყალიბება.....	17

ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის მიზანი და ამოცანები

წინასიტყვაობა

სტაბილური, დემოკრატიული და მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბება შეუძლებელია ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების გარეშე. ახალგაზრდები საქართველოს ფასდაუდებელი რესურსია. მთელ მსოფლიოში დადასტურებულია, რომ ქვეყნები, რომელთა ახალგაზრდობა აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის, სოციალურ, პოლიტიკურ, სამეცნიერო და ა.შ. პროცესებში, ეკონომიკურად უფრო ძლიერია. მეწარმეობა, შემოქმედებითი მიდგომა და განახლების შესაძლებლობა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალას, რაც აუცილებელია უმუშევრობის აღმოსაფხვრელად და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. ახალგაზრდებში მეწარმეობის წასახალისებლად ქვეყანამ უნდა შექმნას გარკვეული ინსტიტუციური პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებს, მაღალი ანაზღაურებით, კვალიფიციური სამუშაო ძალისთვის, ახალგაზრდებს შორის უთანასწორობის აღმოფხვრისა და ინკლუზიის ხელშეწყობის მიზნით.

საჭიროებების დაკმაყოფილების, დაბრკოლებების დაძლევისა და საქართველოში ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობების შესაქმნელად აუცილებელია ერთიანი და სისტემური სამთავრობო პოლიტიკა. წინამდებარე დოკუმენტი გვთავაზობს რეკომენდაციებს ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკისთვის, რომელიც განკუთვნილია 6-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის. რეკომენდაციები ეფუძნება წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკას და შეესაბამება ევროკავშირის რეგულაციებს.

საუკეთესო, ვრცელი და ფართომასშტაბიანი შედეგების მისაღწევად საქართველოში ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის მიზნები და ამოცანები უნდა ეხებოდეს იმ პერიოდს, რომელიც დაწყებითი სკოლიდან იწყება. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების დოკუმენტი წარმოადგენს კონცეფციას, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ქვეყანაში ახალგაზრდებთან დაკავშირებული ნებისმიერი ნაბიჯი, რომელსაც ამ მიმართულებით გადადგამს მთავრობა.

ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის მიზანი და ამოცანები

ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის მიზანია ახალგაზრდებისთვის ეკონომიკურად მდგრადი გარემოს შექმნა/ხელშეწყობა. ამგვარი გარემო საშუალებას მისცემს ქვეყნის ახალგაზრდობას სრულად გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი და გახდნენ საზოგადოების აქტიური წევრები, თავისი ასაკის შესაბამისად.

ამ მიზნის მისაღწევად პოლიტიკა კონცენტრირებულია შემდეგ ამოცანებზე:

1. ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის ხელშეწყობა;
2. დასაქმებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა;
3. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების როლის გააქტიურების ხელშეწყობა.

ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის პრინციპები

სახელმწიფოს საქმიანობა ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის მიმართულებით ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

1. მტკიცებულებებზე, ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი;
2. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა;
3. ახალგაზრდების ეკონომიკური მდგრადობა;
4. აღიარება, პატივისცემა და საყოველთაო თანასწორობის დაცვა;
5. თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე.

ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები

ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პოლიტიკის გასატარებლად სახელმწიფო შეიმუშავებს, განახორციელებს და შეაფასებს შესაბამის, დროში გაწერილ, სამოქმედო გეგმას შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

1. მეწარმეობა და ინოვაცია;
2. დასაქმება და სამუშაო ადგილების შექმნა;
3. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების როლის გააქტიურების ხელშეწყობა.

1. მეწარმეობა და ინოვაცია

1.1. ახალგაზრდებში მეწარმეობის შესახებ დადებითი წარმოდგენის ჩამოყალიბების მხარდაჭერა

საჭიროა შეიცვალოს ახალგაზრდების მეწარმეობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, რაც საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობაა. ამგვარი დამოკიდებულების შესაცვლელად კარგი საშუალებაა წარმატებული მაგალითების პოპულარიზაცია, რათა ახალგაზრდებისთვის მეწარმეობა მიმზიდველი პროფესიული არჩევანი გახდეს. მეწარმეობა არ უნდა ასოცირდებოდეს ახალგაზრდების უკანონო დასაქმებასთან. პირიქით, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემოქმედებითი აზროვნების, გუნდური მუშაობის, ლიდერობის, პრაქტიკული გამოცდილების, ფინანსური წიგნიერებისა და ა.შ. დადებით მხარეებზე. ასევე მნიშვნელოვანია მეწარმეობის დაკავშირება სწავლასა და მუდმივი გამოცდილების მიღების შესაძლებლობებთან. იგი არ უნდა მივიჩნიოთ ისეთ თვისებად, რომელიც ადამიანს დაბადებიდან დაჰყვებათ.

საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს ახალგაზრდების მეწარმეობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე.

ამისთვის საჭიროა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც შემდეგი ამოცანების მიღწევას შეუწყობს ხელს:

- 1.1.1. ახალგაზრდების ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა;
- 1.1.2. ახალგაზრდულ მეწარმეობაზე დადებითი წარმოდგენების პოპულარიზაცია;
- 1.1.3. ახალგაზრდა მეწარმეების წარმატებული გამოცდილების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- 1.1.4. ახალგაზრდების მეწარმეობის პოპულარიზაციის მიზნით თავშეყრისა და საგამოფენო ცენტრების დაარსება;
- 1.1.5. ახალგაზრდა მეწარმეების დაჯილდოების სისტემის შექმნა და მხარდაჭერა;
- 1.1.6. ჩართულობის (მაგ., კამპანიები), გაძლიერებისა (მაგ., სწავლის შესაძლებლობების) და ახალგაზრდული საწარმოების აღჭურვის (მაგ., დამხმარე სერვისები) ხელშეწყობა;
- 1.1.7. ახალგაზრდებში ფინანსური უთანასწორობისა და იზოლაციის აღმოფხვრა;
- 1.1.8. განათლების ფორმალურ და არაფორმალურ სტრუქტურებში მეთოდოლოგიებისა და ინფორმაციის ინტეგრირება ახალგაზრდებში მეწარმეობის ხელშეწყობი უნარების, განწყობებისა და დამოკიდებულების განვითარებისთვის.

1.2. ახალგაზრდებში მეწარმეობის შესახებ განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების მხარდაჭერა

ახალგაზრდებში მეწარმეობის, როგორც მიმზიდველი კარიერული არჩევანის, წახალისების მიზნით საჭიროა სხვადასხვა პროგრამის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების, ციფრულ უნარ-ჩვევების, გადაწყვეტილების

მიღების, კომუნიკაციისა და ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარების, თვითრწმენის, ფინანსურ წიგნიერების, მარკეტინგული უნარებისა და ა.შ. განვითარებას;

საქართველოს მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდების მეწარმეობის მხარდაჭერა და მისცეს მათ საბაზისო, თუმცა, ამავე დროს ფართო წვდომა ბიზნესგანათლებაზე.

საქართველოს მთავრობამ მიზნად უნდა დასახოს შემდეგი ამოცანების შესრულება:

- 1.2.1. სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა, საერთაშორისო გაცვლითი, მოხალისეობისა და მობილობის პროგრამების ჩათვლით;
- 1.2.2. სამეწარმეო პრაქტიკის მხარდაჭერა, საერთაშორისო გაცვლითი, მოხალისეებისა და მობილობის პროგრამების ჩათვლით;
- 1.2.3. ახალგაზრდა მეწარმეების თემთა ჩამოყალიბება;
- 1.2.4. ბიზნესის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში საგანმანათლებლო ვიზიტებისა და პრაქტიკის მხარდაჭერა;
- 1.2.5. სამეწარმეო განათლების (სოციალური მეწარმეობის ჩათვლით) ინტეგრირება ფორმალური განათლების სისტემის ყველა დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდებისთვის საჭირო სამეწარმეო ცოდნასა და უნარ-ჩვევების მიღებაზე წვდომა;
- 1.2.6. ადგილობრივი თვითმმართველობების კუთვნილი სივრცის გადაკეთება სამეწარმეო მიზნებისთვის, მათ შორის, ერთობლივი მუშაობისთვის;
- 1.2.7. ბიზნესინკუბატორებისა და აქსელატორების ხელშეწყობა;
- 1.2.8. მეწარმეობისა და ინოვაციების სფეროში კონკურენციის მხარდაჭერა;
- 1.2.9. სამეწარმეო განათლებაში ჩართული მასწავლებლების/ლექტორების გადამზადება;
- 1.2.10. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ახალგაზრდების საგანმანათლებლო პროგრამებით მხარდაჭერა;
- 1.2.11. ფინანსური განათლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ხელშეწყობა სიმულაციური თამაშებისა და კონკურსების მეშვეობით;
- 1.2.12. კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების მხარდაჭერა;
- 1.2.13. საერთაშორისო და ინტერკულტურული გაცვლის მხარდაჭერა, რათა ახალგაზრდებმა შეძლონ იდეების ჩამოყალიბება და გამოსავლის პოვნა (მაგ., სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, როდესაც საქმე ეხება სოციალურ მეწარმეობას), აგრეთვე, რათა შესაძლებელი გახდეს საუკეთესო პრაქტიკის გადმოღება და საზღვარგარეთ დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინება.

1.3. მეწარმეობა/ინოვაციურობა და მთავრობას შორის თანამშრომლობის გამარტივება

ახალგაზრდების მეწარმეობა, როგორც წესი, მყიფეა და, შესაბამისად, მთავრობის განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებს. ეს მხარდაჭერა შესაძლებელია გამოიხატოს ფინანსური, ინტელექტუალური, საკომუნიკაციო დახმარებით ან თანადაფინანსებით.

საქართველოს მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდების მეწარმეობის მხარდაჭერა მჭიდრო თანამშრომლობითა და ახალგაზრდებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებით.

საქართველოს მთავრობის მიზანი უნდა იყოს შემდეგი ამოცანების შესრულება:

- 1.3.1. სამთავრობო უწყებებთან და უწყებებს შორის თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გამარტივება;
- 1.3.2. ბიზნესთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება და დამწყები მეწარმეებისთვის შეღავათების დაწესება;
- 1.3.3. ფართო მხარდაჭერის კონკრეტული პლატფორმების (მათ შორის, სამართლებრივი, საგადასახადო, რეგულაციების) შექმნა/მხარდაჭერა;
- 1.3.4. საბანკო მხარდაჭერის პლატფორმების დახმარება საკუთარი ან მესამე მხარის რესურსების მეშვეობით. აქ ასევე იგულისხმება ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები, ერთობლივი საწარმოები და ე.წ. „ქრადფანდინგი“ (კოლექტიური დაფინანსება ინტერნეტის მეშვეობით);
- 1.3.5. კონკრეტული საგადასახადო შეღავათების შემოღება, განსაკუთრებით სოფლად, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მაღალმთიან რეგიონებში;
- 1.3.6. კონკრეტული საგადასახადო შეღავათების, სოციალური და ჯანმრთელობის სადაზღვევო შეღავათების შემოღება დამწყები მეწარმეებისათვის;
- 1.3.7. სამთავრობო და კერძო სექტორების წარმომადგენლებისთვის, მათ შორის, ახალგაზრდა მეწარმეებისთვის, გაცვლითი პლატფორმების შექმნა დიალოგის, ინფორმაციის გაცვლისა და შემდგომი განვითარებისთვის ერთობლივი სტრატეგიების შემუშავების ხელშესაწყობად.

1.4. გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს შორის მეწარმეობის წახალისება

საქართველოში გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების მეწარმეობა, განსაკუთრებით, მუსლიმ მოსახლეობაში, საგანგებო მხარდაჭერას საჭიროებს, რათა წინ წამოიწიოს ქალების საჭიროებები, მათი თვალსაზრისი, ნიჭი და იდეები და თანაბარი შესაძლებლობები მიეცეთ როგორც გოგონებს, ისე ვაჟებს.

საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდა ქალების მეწარმეობის განვითარებას შემდეგი ამოცანების მეშვეობით:

- 1.4.1. ქალების წინაშე მდგარი კონკრეტული გამოწვევების ანალიზი და მიზნობრივი მხარდაჭერის ღონისძიებების შემუშავება;
- 1.4.2. პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება სამუშაო ადგილებზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე, თანასწორობის კულტურისა და თანაბარი შესაძლებლობების კულტურის მხარდაჭერაზე;
- 1.4.3. მთავრობის მხარდაჭერით კაცებისთვის ალტერნატივების შეთავაზება, რათა შეძლონ მეტი ყურადღება გადაიტანონ ოჯახზე ზრუნვაზე, რასაც ამჟამად ქალები

- აკეთებენ, რათა როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს მიეცეთ თანაბარი შესაძლებლობები და ოჯახური ვალდებულებებიც თანაბრად გადაინაწილონ;
- 1.4.4. დეკრეტული შვებულების პერიოდში ქალების მეწარმეობის მხარდაჭერა მიზნობრივი სატრენინგო პროგრამებისა და საგრანტო სქემების მეშვეობით;
- 1.4.5. ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელება სამუშაო ადგილებსა და საწარმოებში თანასწორობის დამკვიდრების მიზნით;
- 1.4.6. ბიზნესში ქალების აქტივობის პოპულარიზაცია;
- 1.4.7. სახელმწიფო მხარდაჭერის არსებული ინიციატივების შესახებ მეწარმე ქალებს შორის ინფორმაციის გავრცელების გაუმჯობესება;
- 1.4.8. სოფლად, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მეწარმე ახალგაზრდა ქალების (მაგ., მენტორის მომსახურება, ქსელური მუშაობა და ა.შ.) ინდივიდუალური მხარდაჭერა (ფიზიკური ან ონლაინ ფორმით);
- 1.4.9. მეწარმე ქალების წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება;
- 1.4.10. ინოვაციური და/ან მეწარმე ქალებზე ორიენტირებული გრანტების მხარდაჭერა;
- 1.4.11. მეწარმე ქალთა თემების შექმნის და დახმარების მხარდაჭერა მათთვის სწავლისა და გაცვლითი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით.

1.5. ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა

სოციალური მეწარმეობა, როგორც ბიზნესის სპეციფიკური ტიპი, მიმართული ინკლუზიურობასა და თანასწორობაზე, უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილი. სოციალური მეწარმეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანების დასაქმებას, არამედ იმავდროულად აუმჯობესებს სოციალური განვითარების სტანდარტს საზოგადოების კონკრეტული ჯგუფებისა და მთლიანი საზოგადოებისთვის.

საქართველოს მთავრობამ სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერით უნდა წახალისოს ინკლუზიურობა და თანასწორობა. ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

დამატებითი სამართლებრივი და საგადასახადო შეღავათების დაწესება ახალგაზრდა სოციალური მეწარმეებისთვის, რომლებიც დაასაქმებენ გარკვეული რაოდენობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს;

- 1.5.1. ახალგაზრდა სოციალური მეწარმეებისთვის სპეციალური საგრანტო სქემების შემუშავება და მხარდაჭერა;
- 1.5.2. ახალგაზრდა სოციალური მეწარმეებისთვის სპეციალური ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერა;
- 1.5.3. სოციალური მეწარმეობისა და მეწარმეობის ინტეგრირება კვლევით პროგრამებში მცირე და საშუალო ბიზნესკომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობით;

- 1.5.4. ახალგაზრდებისა და მთლიანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სოციალური მეწარმეობის, როგორც სოციალური პრობლემების გადაჭრის ეფექტური ინსტრუმენტის მნიშვნელობის შესახებ;
- 1.5.5. სოციალური ინოვაციების ჰაბებისა და სოციალურ ინოვატორთა თემების მხარდაჭერა პარტნიორობის, თანამშრომლობის, ერთობლივი სწავლისა და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით. ეს საშუალებას მისცემს სოციალურ მეწარმეობას, რომ სწრაფად გაიზარდოს და დიდი გავლენა მოახდინოს სამიზნე თემებზე;
- 1.5.6. საერთაშორისო დონეზე გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა (მაგალითად, კონფერენციებზე დასასწრები გრანტებით, სასწავლო ვიზიტების ორგანიზებით და/ან სტაჟირებით);
- 1.5.7. სოციალური მეწარმეობის, როგორც უმნიშვნელოვანესი კონცეფციის, ინტეგრირება როგორც ფორმალური განათლების სისტემაში, ისე არაფორმალური განათლების აქტივობებში.

1.6. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებში მეწარმეობის ხელშეწყობა
კონფლიქტებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიყენა ქვეყანას და მის ეკონომიკურ განვითარებას. გარდა ამისა, კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად იმოქმედა ყველა სფეროზე, მათ შორის, განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სპორტზე, ფინანსურ კეთილდღეობაზე და ა.შ და ერთმანეთს დააშორა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლქვეშ და მის მიღმა დარჩენილ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა. არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისა და ამავე დროს იძულებით გაყოფილი საზოგადოებების დასაკავშირებლად ახალგაზრდების მეწარმეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, ამ კონკრეტულ რეგიონებთან დაკავშირებით სოციალურ მეწარმეობას შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს სოციალური პრობლემების მოგვარების მიმართულებით.

საქართველოს მთავრობამ მხარი უნდა დაუჭიროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობის დამყარებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას ორივე მხარეს მცხოვრები ახალგაზრდა მეწარმეების გაძლიერებით.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 1.6.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდა მეწარმეებისთვის სპეციალური გრანტების შეთავაზება;
- 1.6.2. კონკრეტული ტრენინგების (მათ შორის, სამართლებრივი, ფინანსური, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხების შესახებ) ჩატარება (პოტენციური) ახალგაზრდა მეწარმეებისთვის ყურადღების განსაკუთრებით იმ გამოწვევებზე გამახვილებით, რომლებიც დაკავშირებულია ოკუპაციასთან.
- 1.6.3. იმ ღონისძიებებისა და აქტივობების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს უწყობს დიალოგს, პარტნიორობას, ერთობლივ სწავლას და გამოცდილების გაზიარებას

მარგინალიზებულ თემებში და/ან ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის;

- 1.6.4. ამ რეგიონებში მცხოვრები მარგინალიზებული თემების და/ან მოწყვლადი ჯგუფებისთვის ისეთი პლატფორმის შექმნა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მათი სამეწარმეო და დასაქმების საჭიროებებისა და გამოწვევების განხილვა და მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

1.7. სტარტაპბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

ციფრული და/ან ინოვაციური ბიზნესინიციატივების ეკოსისტემა ის სპეციფიკური გარემოა, რომელსაც შემოქმედებითი მიდგომა სჭირდება. სტარტაპებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ტექნოლოგიებსა და/ან ინოვაციებზე დაფუძნებულ იმგვარ აქტივობებს, რომლებიც მეტად საჭიროა ქართული ეკონომიკისთვის. თუმცა, სტარტაპების მყიფე ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროა კონკრეტული მხარდაჭერა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ახალგაზრდულ სტარტაპებს.

საქართველოს მთავრობამ მხარი უნდა დაუჭიროს ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ეკონომიკურ აქტივობას ახალგაზრდებს შორის ახალგაზრდების სტარტაპინიციატივების წახალისების მეშვეობით.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 1.7.1. სტარტაპების ხელშეწყობი ეკოსისტემის განვითარება;
- 1.7.2. ციფრული და ინოვაციური იდეებისა და კვლევის ხელშეწყობა;
- 1.7.3. ინტელექტუალური საკუთრების უფლების, სამეწარმეო განათლების, მეწარმეების, „მფარველი“ ინვესტორების, სტარტაპმენტორებისა და მრჩეველების, აგრეთვე, ამ მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიების მხარდაჭერა;
- 1.7.4. ხელშეწყობი გარემოს შექმნის მიზნით კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც უზრუნველყავს სტარტაპების წინაშე მდგარ გამოწვევებსა და საჭიროებებს.

1.8. ახალგაზრდების მეწარმეობის ფინანსური მხარდაჭერა

ნებისმიერი ბიზნესაქტივობა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდების მეწარმეობა საჭიროებს ფინანსურ მხარდაჭერას, რომლის მიღებაც რთულია ფინანსური ბაზრის ტრადიციული მოთამაშეებისგან. მაშინაც კი, როცა ეს შესაძლებელია, მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის საპროცენტო განაკვეთები და საბანკო რეგულაციები. მეორე მხრივ, ახალგაზრდების მეწარმეობის მხარდაჭერა მხოლოდ ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით საკმარისი არ არის.

საქართველოს მთავრობამ ახალგაზრდების მეწარმეობას ან ფინანსურად უნდა დაუჭიროს მხარი, ანდა ახალგაზრდა მეწარმეებს ფინანსურ რესურსებზე წვდომა უნდა გაუადვილოს.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 1.8.1. საბანკო და ფინანსური სერვისების ინდუსტრიის განვითარების მხარდაჭერა;
- 1.8.2. ახალგაზრდა მეწარმეებისთვის გრანტებსა და სხვა ფინანსურ მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- 1.8.3. ახალგაზრდა მეწარმეებისთვის თანადაფინანსების მექანიზმების ან უპროცენტო საბანკო სესხების უზრუნველყოფა;
- 1.8.4. თვითდასაქმებისთვის გრანტების უზრუნველყოფა;
- 1.8.5. დამწყები კომპანიებისა და მეწარმეებისთვის საგადასახადო შეღავათების, სოციალური და ჯანდაცვის დაზღვევის და ა.შ. შემოღება;
- 1.8.6. ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, რათა დამწყებ მეწარმეებს მიეწოდოთ ინფორმაცია სამთავრობო დაფინანსების პროგრამების შესახებ და ასევე შეძლონ დაფინანსების მიღებისთვის საჭირო უნარების შექმნა.

1.9. ციფრული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მიღების ხელშეწყობა

ციფრული უნარ-ჩვევები და შესაბამისი ცოდნა აუცილებელია არა მხოლოდ წარმატებული მეწარმეობისთვის, არამედ დასაქმებისთვისაც. ადგილობრივი და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთელი საზოგადოების ციფრული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. ამ უნარების განვითარება კიდევ უფრო საჭირო გახდა კოვიდ-19-ით გამოწვეული გლობალური პანდემიის პირობებში.

საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ახალგაზრდობის ციფრულ ტრანსფორმაციას.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 1.9.1. ახალგაზრდების ციფრული განათლების ხელშეწყობა ყველა დონეზე, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების სისტემაში;
- 1.9.2. ახალგაზრდებს შორის კონკურსების ხელშეწყობა ციფრული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის განვითარების წახალისების მიზნით;
- 1.9.3. ქვეყანაში დიგიტალიზაციის პროცესის ხელშეწყობა ახალგაზრდული ინიციატივების გათვალისწინებით;
- 1.9.4. ახალგაზრდებისთვის საშუალების მიცემა, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო თუ ადგილობრივ გაცვლით პროგრამებსა და ციფრულ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ღონისძიებებში;
- 1.9.5. კერძო სექტორთან თანამშრომლობა ფორმალური/არაფორმალური განათლებისა და ტრენინგპროგრამების შემუშავების მიზნით, რომლებშიც აისახება ბაზარზე არსებული საჭიროებები და შემდგომი მუშაობის მიმართულებები;
- 1.9.6. სასწავლებლების კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით კერძო სექტორთან თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს დიალოგს სასწავლო პროგრამების, უნარების განვითარების ან უმაღლესი განათლების სისტემაში გამოყენებულ ტექნოლოგიების შესახებ;

1.9.7. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე მაქსიმალურად მორგებული სასწავლო საწარმოების ფორმალური განათლების სისტემაში ინტეგრაციის ხელშეწყობა დაწყებით სკოლაშივე (პრაქტიკული საწარმოების ფორმალური განათლების სისტემაში ინტეგრირების მეთოდოლოგიისთვის, იხილეთ, მაგალითად, „პრაქტიკული საწარმოების ქსელი“ (Practice Enterprise Network) და „ახალგაზრდების მიღწევები“ (Junior Achievement)).

1.10. კონკრეტული, ასაკზე მორგებული, პროგრამების შექმნა

მეწარმეობის გზაზე ახალგაზრდების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს სხვადასხვა საჭიროება აქვს. ამრიგად, საჭიროა მთავრობამ, ახალგაზრდების ინტერესების შესაბამისად შეიმუშაოს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე მორგებული პროგრამები სხვადასხვა უნარის განვითარებისა და გამოცდილების გაცვლისთვის.

საქართველოს მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე, მათ კონკრეტულ ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 1.10.1. ახალგაზრდების „მეწარმეობის“ კურსის შეტანა ფორმალური განათლების პროგრამაში;
- 1.10.2. კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფებზე მორგებული პროექტების შეიმუშავება, მაგალითად, „ჩემი პირველი ბიზნესი“, „ბიზნესნოვატორი“, „გაკოტრება დასასრული არ არის, არამედ ახალი ბიზნესის დასაწყისი“, „სკოლის ბანკი“, „ბიზნესი უდრის დამოუკიდებლობას“, „სოციალური მეწარმეობა“ და ა.შ.
- 1.10.3. სეზონური სკოლების ორგანიზება ინოვაციისა და მეწარმეობის შესასწავლად;
- 1.10.4. ახალგაზრდების საგანმანათლებლო საწარმოების შექმნა ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის, ფორმალური განათლების სისტემის ყველა დონეზე (იხ. 1.9.7 ზემოთ).

1.11. კერძო სექტორსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა

ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის განვითარების საქმეში კერძო სექტორი ურყევი პარტნიორია, რომელიც ქმნის მნიშვნელოვან რესურსს უნარების განვითარების, ცოდნისა და გამოცდილების შეძენის და, აგრეთვე, კავშირების დამყარებისთვის. შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ მხარი უნდა დაუჭიროს და წაახალისოს კერძო სექტორთან თანამშრომლობა. იგივე ითქმის არასამთავრობო ორგანიზაციებზეც, რომლებიც ასევე მნიშვნელოვან და მრავალფეროვან შესაძლებლობებს ქმნიან ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისთვის.

საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს კერძო და არასამთავრობო სექტორის ორგანიზაციების დაახლოებაზე.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 1.11.1. ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა;
- 1.11.2. კერძო სექტორთან ერთად ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული ერთობლივი პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც მიზნად ისახავს ბიზნესის, მეწარმეობისა და განათლების, ასევე პრაქტიკული ასპექტების განვითარებას;
- 1.11.3. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად იმ ერთობლივი პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც მიზნად ისახავს ადგილობრივი ახალგაზრდობისთვის პრაქტიკული, ბიზნესისა და საგანმანათლებლო ასპექტების განვითარებას.

2. დასაქმების მხარდაჭერა და სამუშაო ადგილების შექმნა

2.1. ბაზრის საჭიროებებზე მორგებული განათლების მხარდაჭერა

დასაქმების ბაზარი მეტად დინამიკური და ცვალებადია. ტექნოლოგიების განვითარება და ინოვაციები საჭიროებს შესაბამისი უნარ-ჩვევების, ცოდნის და, ზოგ შემთხვევაში, გამოცდილების მქონე სამუშაო ძალას. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ბაზრის სისტემატური ანალიზი და ამასთან, შესაბამისი განათლების, მომზადებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები ახალგაზრდებისთვის, რათა მათ შეძლონ წარმატებით უპასუხონ დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. ამ მიმართულებით საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა ბიზნესსექტორთან, რათა გამოვლინდეს დამსაქმებლების საჭიროებები, მოთხოვნები და გამომწვევები და დასაქმებულებში - დეფიციტური უნარ-ჩვევები.

საქართველოს მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდებისთვის დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი განათლების მიწოდება.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 2.1.1. დასაქმების ბაზრის კვლევის მხარდაჭერა;
- 2.1.2. დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- 2.1.3. ახალგაზრდების ხელშეწყობა, მიიღონ ბაზარზე ორიენტირებული კვალიფიკაცია, რათა ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემებში მაქსიმალურად შეივსოს უნარ-ჩვევების დეფიციტი;
- 2.1.4. ინდუსტრიული და ტექნოლოგიური პარკების განვითარების ხელშეწყობა;
- 2.1.5. პროფესიული ორიენტაციის, პროფესიული განათლებისა და ტრენინგების (VET) ხელშეწყობა;
- 2.1.6. კერძო სექტორთან თანამშრომლობა და მისი წახალისება განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური სისტემის მიგნებისა და

შემუშავებისთვის, რომელიც მიესადაგება ბაზრის (როგორც დასაქმების, ისე ბიზნესბაზრების) საჭიროებებს, ასევე - სტაჟირების წახალისება.

2.2. საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამები ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფებისთვის

საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამები უნდა შემუშავდეს და მოერგოს კონკრეტულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებს. ჩვენ გვჯერა, რომ არაეფექტურია მზა და უნივერსალური რეცეპტი, რომელიც არ ემყარება კონკრეტულ საჭიროებებს და საერთოა, მაგალითად, როგორც დედაქალაქის, ისე სოფლების, ოკუპირებული ტერიტორიებისა და მაღალმთიანი რეგიონებისთვის.

საქართველოს მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების მხარდაჭერა, რომლებიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული ჯგუფების ინტერესებსა და სპეციფიკურ საჭიროებებზე.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 2.2.1. განათლებისა და დასაქმების პროგრამების ხელშეწყობა სოფლად, ასევე მაღალმთიან რეგიონებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის;
- 2.2.2. განათლებისა და დასაქმების პროგრამების მხარდაჭერა სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის;
- 2.2.3. განათლებისა და დასაქმების პროგრამების ხელშეწყობა გოგონებისა და ახალგაზრდა ქალებისთვის;
- 2.2.4. განათლებისა და დაფინანსების შესაძლებლობებზე ახალგაზრდების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2.3. დასაქმების შეღავათებისა და უმუშევრობის დახმარების მხარდაჭერა ახალგაზრდებისთვის

დასაქმება უნდა იყოს ღირსეული და გამჭვირვალე. საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს ახალგაზრდების დისკრიმინაციას. ამავე დროს, საჭიროა უმუშევარი ახალგაზრდების დახმარება როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური მექანიზმებით, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ეს საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს უკეთ გაერკვნენ და გაანალიზონ შემოთავაზებები, წარმატებით გაიარონ სამუშაოდ აყვანის პროცესი და დათანხმდნენ საუკეთესო შემოთავაზებას.

საქართველოს მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდების მხარდაჭერა როგორც დასაქმების, ისე დაუსაქმებლობის დროს, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 2.3.1. ახალგაზრდების ანაზღაურების მინიმალური ზღვრის დაწესება;

- 2.3.2. კვირის განმავლობაში ახალგაზრდების სამუშაო საათების ლიმიტის დაწესება;
- 2.3.3. ახალგაზრდების სამუშაოდან დათხოვნის (კადრების შემცირების შედეგად) პროცედურის გართულება;
- 2.3.4. მოქნილი სამუშაო კონტრაქტების შემოღება;
- 2.3.5. დაუსაქმებელი ახალგაზრდების მომზადება CV-ის დაწერისა და გასაუბრებისთვის და ამით მათი წარმატების შანსის გაზრდა სტაბილური სამსახურის მოძიებისას. ეს ხელს შეუწყობს ასევე იმ პოზიციებისა და თანამდებობების (და აგრეთვე ინტერვიუების) რაოდენობის ზრდას, რომლისთვისაც განაცხადს გააკეთებენ ახალგაზრდები;
- 2.3.6. კერძო სექტორთან თანამშრომლობა ტრენინგებისა და გადამზადების კურსების შესათავაზებლად, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი დამსაქმებლების საჭიროებებზე მორგებული მიზნობრივი უნარ-ჩვევების განვითარებას;
- 2.3.7. ახალგაზრდებისთვის საგარანტიო სქემების შემოღება (ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული სახელმწიფო სქემები, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის ისეთი შესაძლებლობების მიცემას, როგორცაა დასაქმება, სტაჟირება, უმაღლესი განათლება, მოსამზადებელი პროგრამები თუ მოხალისეობა ექვს თვემდე პერიოდში სკოლის დამთავრებიდან ან დასაქმების ბაზარზე შესვლიდან).

2.4. ახალგაზრდა დამსაქმებლების სპეციალური ფინანსური მხარდაჭერა

ახალგაზრდა მეწარმეები, რომლებიც ქმნიან სამუშაო ადგილებს საზოგადოების დანარჩენი წევრებისთვის, საჭიროებენ საგანგებო მოპყრობას. ადგილობრივი საზოგადოების საკეთილდღეოდ განსაკუთრებული უნარ-ჩვევების გამოყენება მოითხოვს შემდგომ განვითარებას.

საქართველოს მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდების იმ საქმიანობის მხარდაჭერა, რომლებიც ახალ სამუშაო ადგილებს ქმნიან ბაზარზე.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 2.4.1. ახალი პირის დასაქმების პირველ თვეებში საწარმოსთვის დახმარების აღმოჩენა სპეციალური ფინანსური წვლილის შეტანით (ალტერნატიულად, ასევე შესაძლებელია თითოეული ახალი დასაქმებულისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გამოყოფა);
- 2.4.2. საგადასახადო შეღავათების, სოციალური უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის დაზღვევის უზრუნველყოფა თითოეული ახალი დასაქმებულისთვის;
- 2.4.3. საბანკო კრედიტებზე წვდომის მხარდაჭერა;
- 2.4.4. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გაქირავებისას შეღავათების დაწესება;
- 2.4.5. გირაოს გადახდის პროცესში მხარდაჭერა;

2.4.6. ამ შეღავათების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით საწარმოებისთვის ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.

2.5. ახალგაზრდების დასაქმების პროგრამა

ახალგაზრდების დასაქმების პროგრამები კარგად აპრობირებულია საერთაშორისო დონეზე, ასევე - საქართველოშიც. თუმცა, ამ პროგრამების განხორციელება ქვეყანაში სისტემატურად არ ხდება. ახალგაზრდების დასაქმების პროგრამებს, მაგალითად, ქუჩების დასუფთავებას, სამთავრობო უწყებებში მუშაობას, უსახლკარო ადამიანებისა და მიუსაფარ ცხოველებზე ზრუნვას და ა.შ. სარგებელი მთელი საზოგადოებისთვის მოაქვს.

საქართველოს მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდების დასაქმების პროგრამების მხარდაჭერა მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 2.5.1. ახალგაზრდების დასაქმების პროგრამების ხელშეწყობა;
- 2.5.2. ახალგაზრდების სეზონური დასაქმების პროგრამების ხელშეწყობა;
- 2.5.3. სამთავრობო უწყებებში ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა;
- 2.5.4. არაფორმალური გზით შეძენილი კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევებისა და სამუშაო გამოცდილების აღიარებისთვის კონკრეტული მექანიზმების შემოღება;
- 2.5.5. ახალგაზრდების საერთაშორისო ასპარეზზე გასვლისა და საზღვარგარეთ გამოცდილების მიღებისთვის შესაძლებლობების მხარდაჭერა;
- 2.5.6. ახალგაზრდების წახალისება, რათა ისინი დასაქმდნენ საჯარო ადმინისტრაციაში და ამით ახალი იდეები შემატონ საჯარო სამსახურს;
- 2.5.7. იმ ზომების მხარდაჭერა, რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებში სეზონური ან სპეციალური დასაქმების პროგრამების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლებას.

3. აქტიური როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში

3.1. მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

შემოქმედებითი იდეები, პრობლემების გადაწყვეტისა და გადაწყვეტილებების მიღებისას ინოვაციური მიდგომა, ორიგინალური ხედვა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და ა.შ. ის წვლილია, რომელიც ახალგაზრდებს შეაქვთ. თუმცა იმისთვის, რომ მათ შეძლონ ამ წვლილის შეტანა, ხელი უნდა შეეწყოს და კანონით უნდა იყოს უზრუნველყოფილი ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ყველა დონეზე, მთელ ქვეყანაში.

საქართველოს მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სხვადასხვა სქემის მეშვეობით.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 3.1.1. ადგილობრივ და მუნიციპალურ დონეებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა, როდესაც საქმე ეხება ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენას, ინფრასტრუქტურას და სხვა ისეთ საკითხებს, რომლებსაც გავლენა აქვთ მეწარმეობაზე;
- 3.1.2. ცენტრალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა, როდესაც საქმე ეხება ადგილობრივი ბიუჯეტის განაწილებას, ინფრასტრუქტურას და სხვა ისეთ საკითხებს, რომლებსაც გავლენა აქვთ მეწარმეობაზე;
- 3.1.3. ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული პოლიტიკის, სტრატეგიის, კანონმდებლობის, უწყებების და/ან ინსტიტუტების საქმიანობაში ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტის, ინტეგრირების ხელშეწყობა;
- 3.1.4. რეგიონებში და სხვადასხვა დონეებზე ახალგაზრდული საბჭოების შექმნის ხელშეწყობა.

3.2. ახალგაზრდული საბჭოების ჩამოყალიბება

სოციალურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის ორგანიზება სხვადასხვა საშუალებითაა შესაძლებელი. ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია ახალგაზრდული საბჭო, რომელიც, ერთი მხრივ, მოტივაციას უმაღლებს შემოქმედებით, ინოვაციურ და განათლებულ ახალგაზრდებს, ხოლო, მეორე მხრივ, იძლევა ფართო ხედვასა და რეაგირებას სხვადასხვა გამოწვევებზე, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას, დაწყებული ადგილობრივი, დამთავრებული გლობალური მოვლენებით.

საქართველოს მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდული საბჭოების მხარდაჭერა ადგილობრივ, მუნიციპალურ და ცენტრალურ დონეებზე, რათა დაეხმაროს ქვეყნის განვითარებას და ახალგაზრდების პოტენციალის სრულად გამოყენებას.

ამ მიმართულებით საჭიროა დაისახოს შემდეგი ამოცანები:

- 3.2.1. ადგილობრივ და მუნიციპალურ დონეებზე ახალგაზრდული საბჭოების ხელშეწყობა;
- 3.2.2. ახალგაზრდული საბჭოების ჩამოყალიბება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის, პრემიერ-მინისტრის აპარატთან არსებულ ახალგაზრდულ საბჭოსთან;
- 3.2.3. ახალგაზრდული საბჭოების გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მხარდაჭერა;
- 3.2.4. ახალგაზრდული საბჭოებისთვის კენჭისყრის უფლების მინიჭება, როდესაც ისინი მონაწილეობას მიღებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა დონეზე.